ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N18

დ. სტეფანწმინდა 05.03.2018 წელი

ერთის მხრივ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი მერის ალექსანდრე ზაგაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „წანარეთი" მისი დირექტორის ნათია გელანტიას (შემდგომში მიმწოდებელი) სახით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " (შემდგომში - "ხელშეკრულება") -

შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც

ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.ხელშეკრულება

შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების რული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა თვე.

1.4. "შემსყიდველი" -ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების

ფარგლებში.

1.6. "საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების

საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე წლის 5 მარტს დიდთოვლობისა და ზვავსაშიშროების გამო დაზარალებული მგზავრებისთვის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის მერიას წარმომადგენლობითი ხარჯებიდან. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 5 მარტის N143 ბრძანების საფუძველზე.დანაყოფის კოდი: 55300000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 99,50 (99 ლარი , 50 თეთრი)ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს საბოლოოდ შესაბამისი

საანგარიშსწორებო დოკუმენტებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 1 0 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტს და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციას.

5.3მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხარისხიანი მომსახურება.

6. მომსახურების ვადა და ადგილი

6.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ყაზბეგის მუნიციპალიტეტი. სოფ. არშა

7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს გაუწიოს ხარისხიანი მომსახურება

ბ) შემსყიდველს მომსახურება გაუწიოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანხმლები დოკუმენტაციის წარდგენა.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების კონტროლს განახორციელებს

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა

მომსახურების და საქმისწარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი ირმა

ჩაბაკაური.

8.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა დამიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლო სანაზღაურება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგადიზრდება ხ ელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის,გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულებისღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველიძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარესნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ

11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო

დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ანდა დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიანმიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 20178 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია	შ.პ.ს „წანარეთი“
მისამართი;დ.სტეფანწმინდა ალ.ყაზბეგის ქ.	მისამართი:ყაზბეგის
ალ.ყაზბეგის ქ. N2	მუნიციპალიტეტი.სოფ. არშა
საიდენტიფიკაციო კოდი 241499473	მომსახურე ბანკი:სს ლიბერთი ბანკი
	ბანკის კოდი: LBRTGE22
	a\a GE63LB 011 31 44 04 00 35 000
	საიდენტიფიკაციო კოდი: 441484127
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერი	შ.პ.ს ‘წანარეთის“ დირექტორი
ალექსანდრე ზაგაშვილი	ნათია გელანტია
ხელმოწერა_____	ხელმოწერა_____

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 143

2018 წლის 05 მარტი

დაბა სტეფანწმინდა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის მერიის ბიუჯეტის წარმომადგენლობითი ხარჯებიდან თანხის გამოყოფის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის"ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი სპეციალისტის ირმა ჩაბაკაურის 2018 წლის 05 მარტის N 227 მოხსენებითი ბარათის თანახმად :

მუხლი1.ყაზბეგის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯებიდან გამოყოფილი იქნას 99,50 (ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ზვავსაშიშროების გამო კობი - გუდაურის გზის მონაკვეთის ჩაკეტვის დროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩარჩენილი მგზავრებისათვის შ.პ.ს „წანარეთიდან" საკვები პროდუქტის შეძენის მიზნით.

მუხლი2.დაევალოს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს უზრუნველყოს აღნიშნული თანხის გამოყოფა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება.

მუხლი3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მისამართზე: დაბა სტეფანწმინდა ალ.ყაზბეგის ქ. N76 გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე ზაგაშვილი